ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 14 (1350)

30/IV - 5/V, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობა

## ვიღონოთ ყველაფერი საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად და განსამტკიცებლად!

24–25 აპრილს მიმდინარეობდა საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობა. ყრილობა გახსნა სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ბატონმა ნოდარ ნათაძემ.

დარბაზში აჟღერდა საქართველოს ჰიმნი.

შე[illegible]დეგ ნ.ნათაძემ დელეგატებს სთხ[illegible]უთიერი დუმილით პატივი მიეგო[illegible]ა იმ მამულიშვილისათვის, „ვი[illegible]ო დროს სამშობლოსათვის დაი[illegible]ვონა, რომ სამშობლოსათვის [illegible]იდარი. პა[illegible] ვის [illegible]ქალაქეს და შეგნებულად გაწირა თავი". [illegible]ახეწაშ[illegible]

ამ ერთიარი[illegible]ზით გამოიხატა ის საშინელი სინამდვილე, რაც ჩვენს ქვეყანას დაატყდა თავს — ერთის მხრივ ბრძოლა მომხდურთა და საქართველოს ერთიანობის მტერთა წინააღმდეგ და მეორეს მხრივ ძმათამკვლელი ომი. შემდეგ — ცივი საფლავები პირტიტველა ქართველი ბიჭებისა...

24 აპრილს სხდომას თავმჯდომარეობდნენ შ. ნადირაშვილი და გ. გავაშელი. 25-ში ა. ტუღუში და ნ. გრიგალაშვილი.

პირველ დღეს პოლიტიკური მოხსენება გააკეთა ბატონმა ნოდარ ნათაძემ. თანამოხსენებით გამოვიდა ბატონი ნოდარ გრიგალაშვილი.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ვრცლად ისაუბრა რესპუბლიკის ვიცე პრემიერმა, ეკონომიკური რეფორმების შტაბის ხელმძღვანელმა ბ-ნმა რომან გოცირიძემ.

გაიმართა კამათი.

მეორე დღეს სხდომაზე, ნოდარ ნათაძის საანგარიშო მოხსენების შემდეგ ვრცელი გამოსვლები ჰქონდათ ბატონებს შოთა ნადირაშვილსა და პაატა კოღუაშვილს. მომხსენებელთა და მოკამათეთა გამოსვლების საერთო პათოსი იყო — ყველაფერი ვიღონოთ საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად და განსამტკიცებლად.

ყრილობის დელეგატებმა სრულიად საქართველოდან საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს კვლავ ბატონი ნოდარ ნათაძე.

ყრილობიდან ყრილობამდე უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს დარბაზი. რეგიონალური სახალხრო ფრონტის თავმჯდომარეები იმავდროულად ითვლებიან დარბაზის წევრებად, მათ გარდა ყრილობის დელეგატებმა აირჩიეს სსფ-ს დარბაზის 20 წევრი. არჩეულ იქნა სარევიზიო კომისია.

ყრილობამ მიიღო რეზოლუციები, წესდება და პროგრამა.

ამით ყრილობამ მუშაობა დაასრულა.

აფეთქება არ მომხდარა!..

# საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობა



## რომან გოცირიძე:

# რეალობა მკაცრია...

24 აპრილს სახალხო ფრონტის ყრილობა მოელოდა ბატონი რომან გოცირიძის გამოსვლას. ყველამ იცის, რომ ბატონი რომანი მშვენიერი ორატორია, მაგრამ ყველამ იცოდა ისიც, რომ მას უმძიმეს პრობლემებზე მოუწევდა საუბარი. ასეც მოხდა. კიდევ ერთხელ დადასტურდა რომან გოცირიძის გამოსვლის შემდეგ მისი ბრწყინვალე ორატორული ნიჭი, განათლების ფართო სპექტრი, ამასთან ჩვენი ეკონომიკის უაღრესად დუხჭირი სურათი. როგორც ჩანს, განათლება და ნიჭიერება. ვიცე-პრემიერის მაღალი პოსტი,არ ყოფნის იმას, რომ ჩვენს არეულ ქვეყანაში ჯერ-ჯერობით რაიმე შეიცვალოს, თუმცა რ. გოცირიძე ხელს არ აკლებს. გთავაზობთ ბატონ რომან გოცირიძის გამოსვლის შემოკლებულ ჩანაწერს.

მინდა შევჩერდე დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ამაზე მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში არასოდეს ყოფილა. და თუ ჩვენ შევხვდებით ნახევარი წლის შემდეგ დღევანდელი მდგომარეობა შეიძლება გაცილებით უკეთესად მოგვეჩვენოს. შექმნილი მდგომარეობის უპირველესი მიზეზი გახლავთ ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ავტონომიური სახელმწიფო წარმონაქმნების საბოლოო ფორმირების შედეგად დაიშალა ერთიანი საფინანსო სისტემა და წარმოიშვა საანგარიშსწორებო კრიზისი, რომელიც საბოლოო სახით ერთი თვის წინ ჩამოყალიბდა. დღეს ნებისმიერი ქვეყანა, იქნება რუსეთი, უკრაინა, სომხეთი თუ ამერიკის შეერთებული შტატები, ჩვენთვის ერთი და იგივე ფინანსური პარტნიორია და, თუ არავის მოსდის აზრად, მივიდეს ბანკში და ფულის პოლონეთში გადარიცხვა ითხოვოს, არის შემთხვევები, როცა ითხოვენ ფულის რუსეთში გადარიცხვას. უნდა ითქვას, რომ ე.წ. ფულის გადარიცხვა საბანკო ჟარგონია. გადარიცხვა შეიძლება ხდებოდეს ერთიანი საფინანსო მექანიზმის მქონე ქვეყანაში ორ სამეურნეო პარტნიორს შორის. ანგარიშსწორება სახელმწიფოებს შორის რომ მოხდეს, უნდა არსებობდეს ისეთი ფული, რომელიც ამ ანგარიშსწორებისათვის იქნება მისაღები, ასე ვთქვათ უნდა არსებობდეს ორმხრივად კონვენტირებადი ფული. ქართული, რუსული ან აზერბაიჯანული ვალუტა არაა კონვენტირებადი და ბუნებრივია, წარმოიქმნა ჩაკეტილი, ავტონომიური საფინანსო სისტემები. საქართველოში კუპონის ნაცვლად მანეთი რომ დარჩენილიყო, ვერცერთი საწარმო,ანგარიშზე მილიარდებიც რომ ჰქონოდა, ფულს საზღვრის გარეთ მაინც ვერ გაიტანდა. წარმოიშვა უზარმაზარი საგადამხდელო კრიზისი. ერთი შეხედვით, ეს ტრაგედია არ უნდა იყოს, რადგან მთელი მსოფლიო გადარიცხვების გარეშე ცოცხლობს, მაგრამ მეორე მხრივ, საქართველოს ყველა სახის საქონელი სწორედ გადარიცხვების მეშვეობით, მე ვიტყოდი, ერთიანი სამანეთო სისტემის წყალობით შემოჰქონდა. მაგრამ სისტემა ადრე თუ გვიან უნდა დაშლილიყო, რადგან ერთი მხრივ, რესპუბლიკებს ბოლოსდაბოლს საკუთარი ვალუტა უნდა შემოეღოთ და, მეორე მხრივ, რუსეთისთვის ერთიანი სამანეთო ზონა წამგებიანი იყო.

ერთ მაგალითს მოვიტან: თურქმენეთიდან დაახლოებით 5,2 მილიარდი მ-3 ბუნებრივი გაზი შემდიოდა, რაც სამასი მილიონი დოლარი ღირდა. ჩვენ უნდა მიგვეწოდებინა 70—80 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქცია, ხოლო უზარმაზარი სხვაობა საქართველოს ვალად დაედებოდა. ე.ი,. სამასი მილიონი დოლარის ღირებულების გაზისათვის უნდა მივგეწოდებინა ამავე ღირებულების საქონელი, მაგრამ თუ საქართველოს ამ რაოდენობის საქონელი არ აღმოაჩნდებოდა, დაედებოდა ვალი, რომელიც ან მყარი ვალუტით უნდა გადაგვეხადა ან შეგვიმცირდებოდა გაზის მოწოდება.

შარშან, ძალიან მარტივად, მივაწვდიდით მხოლოდ საქონელს, ეროვნული ბანკი გამოწერდა ბარათს — ავიზოს, ჩაიტანდა მას ჩვენი წარმომადგენელი თურქმენეთში და მოხდებოდა გადარიცხვა. ასეთი მანიპულაციები ერთიანი საფინანსო მექანიზმების მქონე ქვეყანაში იყო შესაძლებელი. ის სისტემა კი ძირითადად რუსეთის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებით ხორციელდებოდა, რომელიც გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო ვერ კეტავდა საბანკო ანგარიშსწორების საზღვრებს.

ბოლოსდაბოლოს საზღვრები ჩაიკეტა. თურქმენეთს საქონელი ვერ მივაწოდეთ და გაზის მოწოდება 5,2 მლ. $მ^3$ — დან 3, 8 მლ. $მ^3$ — მდე შეგვიმცირა. გუშინწინ კი მივიღეთ დეპეშა, რომ სქართველოში შეწყდება გაზის მოწოდება, თუ არ გადავიხდით ტრანზიტის საფასურს, ე.ი. თუ არ დავფარავთ იმ ხარჯებს რომელიც თურქმენეთმა რუსეთსა და ყაზახეთს უნდა გადაუხადოს. ესაა 5 მილიადი მანეთი. (აქ ლაპარაკი არაა იმ ათეულ მილიარდ მანეთზე, რომელიც საჭირო იქნება გაზის მოწოდებისთვის.) ამჟამად, გაზის ტრანზიტის მხოლოდ პირველი კვარტლის ღირებულების დასაფარად უნდა მოვძებნოთ 5 მილიარდი მანეთის ღირებულების ჩაი. ჩვენ ეს არ გაგვაჩნია მაშინ, როცა ჩაი მისაცემია რუსეთისთვის, უკრაინისთვის, აზერბაიჯანისთვის ნავთობპროდუქტების შესაძენად და ა.შ. უამრავი პროდუქტისათვის. საქართველო, მთელი თავისი ეკონომიკური პოტენციალით, ასე ვთქვათ, ყველაფერი რომ თურქმენეთს აჩუქოს, მხოლოდ გაზს ვერ იყიდის. საქართველო მოიხმარს თითქმის იმდენ საქონელს, რამდენიც სჭირდება, წარმოება კი შემცირებულია 70—80 პროცენტით, რაც მრავალი მიზეზითაა გამოწვეული და პირველ რიგში — ომით.

რა გავაკეთოთ? თურქმენეთს უნდა მივცეთ საქონელი, რომელიც არ გაგვაჩნია, უნდა მივცეთ უცხოური ვალუტა, მაგრამ ისიც არ გაგვაჩნია. არსებობს კიდევ ერთი გზა — შევამციროთ გაზის მოწოდება ჩვენი საქონლის მოწოდების ფარგლებში, რომელიც ჩვენთვის დამღუპველია, რადგან გაჩერდება მთელი საქართველო და ჩვენ შიმშილით დავიხოცებით. კიდევ ერთი გზაა — შევეხვეწოთ თურქმენეთს, გვაპატიოს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვალის გადახდა და ერთ დროს გადავიხდით.

გაზი მსოფლიო ბაზარზე ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე ჩვენ თურქმენეთს ვუხდით. ჩვენდა საბედნიეროდ, მას ჯერ არ შეუძლია მსოფლიო ბაზარზე გასვლა, მაგრამ დღესაც შეუძლია გაზი მყარ ვალუტაზე მიჰყიდოს რუსეთს. მომავალი წლიდან კი ირანის გავლით გაიხსნება ახალი გაზსადენი. მოკლედ, თურქმენეთი საქართველოსათვის დონორის როლში ვერ იქნება. შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გა[illegible]ვალია, რომ თურქმენ[illegible]ა ვალი ტექნიკურ კრედიტად ჩაგვითვალოს, რომელსაც შემდეგ სახელმწიფოთშორის ურთიერთობებში გავაფორმებთ.

10 მილიარდი მანეთის გაზი შემოვიტანეთ ყაზახეთიდან, მაშინ როცა თურქმენეთმა შეგვიმცირა გაზის მოწოდება. ჩვენი ავიზო ჩავიტანეთ ყაზახეთში, ვთხოვეთ პრემიერ-მინისტრს ტერეშჩენკოს, რომ ყაზახეთს თავისი საქონელი კრედიტად მოეცა. ეს ათი მილიარდი არ გატარდა, დაბრუნდა უკან და არ ვიცით რას ვიზამთ მომავალში.

ასეთი სახის დავალიანება გვაქვს რუსეთთან — 60 მილიარდი მანეთი, ყაზახეთან, უკრაინასთან, აზერბაიჯანთან, მოლდოვასთან. ე.ი. შარშან სესხად სულ 100 მილიარდი მანეთის საქონელი შემოვიტანეთ. ეს ხორციელდებოდა ერთიანი საფინანსო სისტემის წყალობით, ინერციით და რუსეთის მცდელობით, შენარჩუნებინა ერთიანი სამანეთო ზონა, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გ[illegible].

აქ [illegible]ლურობისა [illegible]ყო მხოლოდ [illegible]ყარებას, [illegible]აქართველომ ასეთ[illegible] [illegible]იცხვებით გასულ [illegible] შემოიტანა ხორბალი ყაზახეთიდან და რუსეთიდან. საქართველო დღეს ცხოვრობს გაერთიანების კრედიტით, რომელსაც შეიძლება დავუმატოთ თურქეთიდან და ამერიკიდან საჩუქრად მიღებული ხორბალი. ამერიკიდან შემოვა ჰუმანიტარული დახმარების 90 ათასი ტონა ხორბალი, რომელსაც საქართველო 33 დღეში მოიხმარს. გარდა ამისა 160 ათასი ტონა საფურაჟო ხორბალი, რომელიც თუ არ იქნა გაფუჭებული, უკიდურეს შემთხვევაში, საკვებადაც შეიძლება გამოვიყენოთ. აი, ესაა. მთელი ჩვენი შემოსავალი.

ასეთ მუქ ტონებში წარმოადგინა ვიცე-პრემიერმა ჩვენი დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ომის, ნგრევისა და შიდა დაპირისპირების შედეგიც არის.

ბატონმა რომანმა ილაპარაკა იმის თაობაზეც, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსასვლელად. რომ ამჟამადაც მოსკოვში იმყოფებიან ჩვენი წარმომადგენლები კრედიტების მოსაპოვებლად, რომ საჭიროა პოლიტიკური სტაბილიზაცია და ინვენსტიციები. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ბატონი რომანი მომხრეა პარლამენტის ვადამდელი არჩევნებისა მას შემდეგ, რაც პარლამენტი შესძლებს ახალი კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებას, რისთვისაც მან ივარაუდა დაახლოებით წელიწადზე ცოტა მეტი.

# სიტყვა, თქმული საქართველოს სახალხო ფრონტის ყრილობაზე

## 1993 წლის 24 აპრილს

**ნოდარ გრიგალაშვილი**

**პარიზში** გადახვეწილი ერთი ქართველი ემიგრანტი გულმოკლული აღწერდა რა 1918–21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს შეჭირვებულ ყოფა სინანულით დასძენდა: „როგორი საოცნებო ფერებით მეხატებოდა დამოუკიდებელი საქართველო, რომელზედაც ვფიქრობდი ახალგაზდობაში, — ბედნიერი, ლამაზი, თავისუფალი აღორძინებული, მდიდარი და როგორ მიხდება აღწერა სიბერის ჟამს რეალური დამოუკიდებლობისა, რაც სინამდვილეში იყო.

ნუთუ ყველა განხორციელებული ნატვრა, ასეთი უკუღმა რამ არის? რასაკვირველია, არა, მაგრამ ბედმა სწორედ ამ დროს დაგვსაჯა მენშევიზმით, როგორც რუსული ამობლუყუნებით"-ო.

სამწუხაროდ, იგივე სიტყვების გამეორება მიწევს დღეს როცა საქართველომ 70 წლის დამთრგუნველი მონობის შემდეგ კვლავ აღიდგინა დამოუკიდებლობა და აგერ უკვე ორი წელია თავისუფალი ქვეყნის შვილები გვქვია.

მაგრამ ეს არ არის ის დამოუკიდებელი ივერია, რომელზედაც ჩვენ ყველანი ვოცნებობდით — ძლიერი, ლამაზი, თავისუფალი, აღორძინებული, მდიდარი. პირიქით ჩვენ ვართ მოქალაქენი სუსტი, უბედური, სახეწამლილი, დაბეჩავებული, ღარიბი საქართველოსი.

არა მხოლოდ იმიტომ, რომ განგებამ დამპყრობელშიც არ მოგვცა ყისმათი და დიდჟანდარმი რუსეთი თავის ყოფი[illegible] კოლონიებს კვლავაც სისხლს უშრობს, არამედ იმიტომაც, რომ დამოუკიდებლობის ხელმეორედ მოპოვებისას ბედმა დაგვსაჯა სახელმწიფოს სათავეში არასახელმწიფოებრივი ჭკუის მქონე, პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილი ადამიანების დიდი ჯგუფის მოვლინებით.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თავისუფლებისათვის ბრძოლა, თითქოს ეს თავისუფლება რეალურად უკვე მოპოვებული გვქონდა, შეცვალა ბრძოლამ ძალაუფლებისათვის.

დღეს ბევრი ლაპარაკია იმის შესახებ თუ როგორ უნდა შეფასდეს დეკემბერ-იანვრის მოვლენები სახალხო აჯანყებად, დემოკრატიულ რევოლუციად თუ სამხედრო გადატრიალებად? ვერ დავიჩემებ, მაგრამ ჩემის პირადი აზრით, არც ერთი მომხდარა საქართველოში, არც მეორე და არც მესამე, არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან არც სახალხო აჯანყებას, არც რევოლუციას და მით უფრო არც სამხედრო გადატრიალებას საქართველოს ისტორიაში ანალოგი არ აქვს. თვით 1917 წლის თებერვლის რევოლუციაც კი რომელზედაც ბოლშევიკებმა ტომები დაწერეს, როგორც ამბობდა ტიციან ტაბიძე საქართველოს ფოსტით ეცნობა.

საქართველოში ანალოგი აქვს მხოლოდ ძალაუფლებისათვის ბრძოლებს, რისი განმეორებაც მოხდა მეოცე საუკუნის მიწურულს და რის გამოც უპირველესი პასუხისმგებელი ისტორიის წინაშე იქნება „მრგვალი მაგიდა" თავისი ორი ფრთით პრეზიდენტის მომხრეებით და პრეზიდენტის განდგომილებით.

პრეზიდენტყოფილი. თავისი გუნდითურთ პასუხიმგებელი იქნება ისტორიის წინაშე იმის გამო რომ არ შეისმინა ჭეშმარიტი, კონსტრუქციული საპარლამენტო ოპოზიციის, „დემოკრატიული ცენტრის", აჯა-ვედრება, რათა რეალურად, საქმით მიემართა კომპრომისისათვის და თავიდან აეცილებინა სამოქალაქო სისხლის ღვრა. ნოდარ ნათაძის „დემოკრატიული ცენტრის" თავმჯდომარის ძალისხმევით კიტოვანმა იმჟამად ხელი მოაწერა ტექსტს, რომლის მოთხოვნითაც განდგომილი გვარდია მშვიდობიანობის დროს დაემორჩილებოდა პარლამენტს და მოექცეოდა სახელმწიფო სტრუქტურებში. გამსახურდიამ ამ ტექსტს არ მოაწერა ხელი, იმ მოტივით, რომ ჯარი (და ეს სამართლიანი არგუმენტი იყო) პრეზიდენტს [illegible]და ემორჩილებოდესო. მაგრამ გამონაკლისების ქვეყანაში, სადაც წერა კითხვის ისეთი მცოდნე კაცი ხელმოწერისას სახელს რომ სრულად წერდა და გვარის მხოლოდ ინიციალს, თუკი შეიძლებოდა მინისტრი გამხდარიყო, ქვეყანაში სადაც გამონაკლისის ხაზით მთავრობის სახლის დამატებით კორპუსად დემოკრატიული კარავ ქალაქი იდგა. ქვეყანაში, სადაც დეპუტატების სესიაზე შეშვება ქალების „მორიგი ლაშქრის" ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, ყოფილიყო ერთი გამონაკლისიც, დამორჩილებოდა გვარდიის ერთი ნაწილი პარლამენტს განა კომპრომისი თუნდაც კურიოზული არ სჯობდა იმ უკომპრომისობას, რომელმაც ტრაგიზმამდე მიგვიყვანა? თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა და შემდეგ მათ ალიანსში შესული ჯაბა იოსელიანი ასევე პასუხს აგებენ ისტორიის წინაშე, თუ რატომ არა დღეს, ქვემოთ მოგახსენებთ იმის გამო, რომ ვერ გაითვალისწინეს რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობას, რომ მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, ფაქტია, უარესად აირია ქვეყანა დეკემბერ-იანვრის შემდეგ. უარესად წაეკიდა ძმა-ძმას, რომ უზარმაზარი სულიერი და მატერიალური კრახით ვზღეთ ის შედეგები რაც ძმათა ომმა გამოიწვია.

ჩვენ პრეზიდენტყოფილს მმართველობის ხანაში თეორიული პროგნოზის დონეზე ვწერდით და ვამბობდით, რომ ძმათა ომში გამარჯვებული არ იარსებებს.

ჩვენ დღეს ჩვენი ძმების, იმ მხარისა თუ ამ მხარის დაღუპულთა გვამების ხარჯზე პრაქტიკულად დავრწმუნდით, რომ ძმათა ომში გამარჯვებული არ არსებობს.

მართალია, ერთმა ძალამ გაიმარჯვა მეორეზე, მაგრამ დამარცხდა საქართველო რისი მკაფიო დასტური არის ატირებული ოჯახები. რისი დასტურია დაქცეული ეკონომიკა. რისი მკაფიო დასტურია მაფიისა და კრიმინალთა არნახული პარპაში. რისი მკაფიო დასტურია აფხაზთა სეპარატისტების არნახული სითავხედე, ორად გაყოფილი საქართველოსთან დროის მოხელთება.

რაც არ უნდა პარადოქსად ჟღერდეს, წინსვლა მხოლოდ ქართული ჯარის შექმნის პროცესს ეტყობა, ოღონდ ამ წინსვლის ხასიათსა და ტემპს კარგად გამოხატავს ერთი ანეკდოტი —

პოლკოვნიკი მოხსენებას უკეთებს გენერალს თავისი ნაწილის [illegible]ღწევებზე. მოხსენება დაამთავრა სიტყვებით — „ყველაზე მეტი წარმატება გვაქვს დისციპლინაში" უეცრად კარი გაიღო, ჯარისკაცმა თავი შემოყო და პოლკოვნიკს მიმართა:

— ეჰეი, ბებერო, წავიყანო მანქანა, არა?

აღელვებული პოლკოვნიკი გენერალს მიუბრუნდა:

— ხედავთ, ბატონო ერთი წლის წინათ არც კი დამეკითხებოდნენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი არის ძლიერ ცუდად და ამაში ზემოხსენებული ჯგუფების გარდა ბრალი მიგვიძღვის ყველას, პარტიებს, მთელს საზოგადოებას. რადგან ყველაფერზე რაც საქართველოში ხდება შთამომავლობა თითოეულს მოგვკითხავს პასუხს.

ერთი მოაზროვნე წერდა: „ადამიანის მგრძნობელობა ყოველგვარი წვრილმანისადმი და მისი სრული უგრძნობელობა ყოველივე დიადის მიმართ-სულის უცნაური გახრწნილების ნიშანია".

ჩვენი საზოგადოება უცნაურად მგრძნობიარეა ყოველგვარი წვრილმანისადმი და სრულიად უგრძნობელი დიადის მიმართ.

თუ რომელიმე პარლამენტარმა რაღაც სისულელე წამოჩერჩეტა, ამაზე მეორე დღეს მთელი ქალაქი საოცარი ცნობისმოყვარეობით ლაპარაკობს, მაშინ როცა დიახაც საოცრად უგრძნობელნი ვართ იმ ომისადმი რომელიც ჩვენს ყოფნა-არყოფნას წყვეტს და იქ მიმდინარე ამბების შესახებ მაცნედან ისე ვისმენთ ინფორმაციებს თითქოს ჩვენი სისხლხორცის ნაცვლად აცტეკები იხოცებიან ოკეანის გაღმა. ბრძოლის ველზე ვინ ჩივის, აქ, სამედიცინო დაწესებულებებშიც გვიჭირს მცირეოდენი სისხლი გავიღოთ ჩვენი გმირი მებრძოლებისათვის. ასეთია ძალზედ სქემატურად თუ წარმოვიდგენთ საშინაო ყოფა დამოუკიდებელი საქართველოსი და ამან მაიძულა ჩემი მოხსენების შესავალში ქართველი ემიგრანტის სიტყვები მომეხმო — „ნუთუ ყველა განხორციელებული ნატვრა ასეთი უკუღმართი რამ არის?"

არა და არა.

უპირველესი მიღწევა ჩვენი არის ის, რომ ჩვენი ბედი ჩვენვე გვიპყრია ხელთ. ჩვენ შეგვიძლია და მოვალენი ვართ ყველაფერი გავიღოთ იმისათვის რომ იყოს ბედნიერი, ლამაზი თავისუფალი, აღორძინებული, მდიდარი.

ამ მიზნის მისაღწევად უპირველეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ შეცდომები. ჭკვიანები შეც[illegible]მებზე სწავლობენ, ბრიყვნი შეცდომებს შეუცდომლად იმეორებენ. საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ უნდა აღსდგეს სამართლიანობა ანუ სახელმწიფო გადატრიალების წილ უნდა მოხდეს სახელმწიფო გადატრიალება. ისინი გულისფანცქალით ელიან ამ ხელისუფლების დამხობას და იმ ხელისუფლების აღდგენას. ამისათვის იმართება უსანქციო მიტინგები, ამისათვის ცხადდება მშვიდობიანი დაუმორჩილებლობა. ამისათვის ეწყობა დივერსიები.

მე ზემოთ მოკლედ აღვწერე სურათი იმისა, რა მოჰყვა გადატრიალებას.

იგივე მოხდება გადმოტრიალების დროს.

ისევ დაობლდება ოჯახები.

კიდევ უფრო გაპარტახდება ქვეყანა

კიდევ უფრო გაყოყოჩდებიან შინაური სეპარატისტები, საბოლოოდ გვიკარნახებს რუსეთი თავის ნებას, რადგან ერთმანეთის მტრობაში პიროვნულად იქნებ გასაგებიც იყოს შურისძიების სურვილი იმ შეურაცხყოფილი ადამიანებისა რომელნიც 1992 წლის 6 იანვრის შემდეგ იარაღის ძალით ხელისუფლებიდან უცებ ოპოზიციაში აღმოჩნდნენ, მაგრამ არ შეიძლება შურისძიება საქართველოზე. ის ვინც რევანშისკენ მოუწოდებს ადამიანებს შლეგური თავდაყიწყებით მიჰყავს ქვეყანა უფსკრულისაკენ რადგან პოსტებიცა და პიროვნებებიც დროებითია ამ ქვეყანაზე, საქართველო კი მარადიული.

საქართველო ომშია ჩათრეული, ფაქტია, გვედავებიან და გვგვლეჯენ ჩვენს მიწას ამიტომ ჩვენი ომი სამართლიანია. არადა, სამართლიანობა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა უძლურია. უძლურ სამართლიანობას ფეხქვეშ გაიგებენ. ამისათვის გვჭირდება ერთიანობა, როგორც ჩვენი ძლიერების დასტური და არა ქიშპი მიზეზი ჩვენის უძლურებისა. ჩვენი ქვეყნის ბედი იმ ხომალდისას ჰგავს ზღვის შტორმი რომ აქანავებს და აქა-იქ წყალს შეუღწევია, ჩაძირვა რომ ემუქრება. გოგებაშვილის მოხდენილი შედარებით ასეთ დროს ხომალდიდან ხომალდის ვირთაგვები გარბიან.

გემზე რჩება მცირე ჯგუფი მამულიშვილებისა, რომელნიც გემის კაპიტანს კი არ აყვედრიან ასეთ შტორმში მოხვედრას, ნასვრეტების ამოვსებასა და წყლის ამოხაპვას ცდილობენ, რათა ხომალდი სამშვიდობოს გაიყვანონ. ვგულისხმობ, ჩვენს თავს ამ ჯგუფში ჩასაძირად განწირულ ხომალდზე წყლის ამოხაპვის ნაცვლად თუ ერთმანეთის განკითხვა დავიწყეთ ამით მხოლოდ განკითხვის დღეს მოვიახლოვებთ და ჩვენს ისტორიას სხვა ხომალდის ბინადართა წასაკითხად ვაქცევთ.

საქართველოს სახალხო ფრონტი მოვალეა ეს აზრი გაუცნობიეროს ყველას ვინც ხომალდის ვითაგვებივით იქცევა ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობის ამ უძნელეს ეტაპზე. დღეს საყვედური იმის შესახებ თუ რატომ უნდა იკრძალებოდეს იმჟამინდელი ოპოზიციისათვის ბრძოლის ის მეთოდები, რასაც ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ იყენებდნენ ცალკეული იმჟამინდელი პარტიები, მხედველობაში მაქვს არასანქცირებული მიტინგებით ქუჩების გადაკეტვა, ბარიკადების აგება რუსთაველის პროსპექტზე ერთი შეხედვით სამართლიანია. სამართლიანია იმ თვალსაზრისით, რომ ხელისუფლებაში მოსულია და ამკრძალავის როლში გამოდის ის ძალა, რომელიც თავად სჩადიოდა იმას, რაც კანონით იმჟამადაც იკრძალებოდა.

მაგრამ ასეთი მიდგომა უფრო ჟინის გამოვლინებაა და არა სახელმწიფოებრივი ინტერესისა.

როდესღა უნდა დაიწყოს პროცესი სახელმწიფოში იმისა, როცა კანონი კანონობს და მოქალაქე კანონს ემორჩილება.

წინამორბედის ცდომილებით ახალი ცთომილება არ მართლდება, თუნდაც წინამორბედი კანონმდებლის როლში იყოს მოვლენილი, რადგან სახელმწიფოს კანონები უნდა მართავდეს და არა ცალკეულ პირთა თუ პარტიათა ხუშტურები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობის რეზოლუცია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღების დაჩქარებისა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესახებ

ითვალისწინებს რა საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების განმუხტვისა და უმძიმესი ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანისათვის საჭირო პირობების აუცილებლობას, საქართველოს სახალხო ფრონტი თვლის, რომ საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებისთანავე ახალი, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, ისეთი პირობების შექმნით, რომელიც უზრუნველყოფს მასში მონაწილეობის მიღებას ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ.

# საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობის რეზოლუცია საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის თაობაზე

ითვალისწინებს რა იმ ძირგამომთხრელი მუშაობის მასშტაბებს, რომელსაც რუსეთის სპეცსამსახურები ეწევიან საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და იმ აშკარა აგრესიას, რომელსაც რუსეთის შეიარაღებული ძალების აფხაზეთში განლაგებული ნაწილები ახორციელებენ საქართველოს შეიარაღებული ძალების და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და განსაკუთრებით იმ გარემოებას, რომ არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ მსგავსი აგრესია არ იქნება განხორციელებული საქართველოს რესპუბლიკის სხვა პუნქტებში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ნაწილების მიერ, საქართველოს სახლხო ფრონტი მოითხოვს: საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ნაწილების გაყვანას ტექნიკურად შესაძლებელ უმოკლეს ვადაში.

# საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობის რეზოლუცია მიწის პრივატიზაციის პროცესის დაჩქარების შესახებ

მხარს უჭერს რა საქართველოში მიმდინარე მიწის პრივატიზაციას, საქართველოს სახალხო ფრონტი აღნიშნავს, რომ ამ როცესის შენელება და გაჭიანურება ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. სსფ მოითხოვს, რომ რესპუბლიკს მთავრობამ უზრუნველყოს უმოკლეს ვადაში მიწების მოსახლეობაზე მაქსიმალურად განაწილება და კერძო მეურნეობებისათვის ფინანსური ხელშეწყობა მათი მინიმალური დაბეგვრისა და ხელსაყრელი კრედიტების სახით.

# საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობის რეზოლუცია საქართველოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ

საქართველოს სახალხო ფრონტი სავსებით იზიარებს საქართველოს საგარეო პოლიტიკური ხაზის განსაზღვრას, როგორც აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკისა.

ამასთან ერთად, სსფ თვლის, რომ საქართველოს რესპუბლიკამ საგარეო პოლიტიკაში ორიენტაცია უნდა აიღოს დასავლეთზე, როგორც ეკონომიურად მძლავრ, თავისუფალ, დემოკრატიულ საზოგადოებაზე;

სსფ მიიჩნევს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის პოლიტიკური უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი სახელმწიფო ყველა სხვა სახელმწიფოსთან, მეზობლებთან და არამეზობლებთან, გაატარებს ორმხრივ ხელშეკრულებებზე ან მრავალმხრივ შეთანხმებებზე და კონვენციაზე დაფუძნებულ ისეთ პოლიტიკას, რომელიც გამორიცხავს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის ნებისმიერ საბაბს და შესაძლებლობას ნებისმიერ სახელმწიფოს მხრიდან.

საქართველოს სსფ-ს აზრით საქართველოს საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი უნდა იყოს კავკასიური ერთობის პოლიტიკა, დამყარებული კავკასიის ერების ერთობლივი ინტერესების პრინციპზე.

# საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობის რეზოლუცია ცხინვალის რეგიონში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ე.წ. სამშვიდობო ძალების შეყვანის შემდეგ ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებას საქართველოს სახალხო ფრონტი თვლის მოჩვენებით მშვიდობად, რომელიც მხოლოდ ოსურ ექსტრემიზმს და მის ზურგს უკან მდგარ რუსულ სახელმწიფოს აძლევს ხელს და ამას მიიჩნევს საქართველოს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს უძირითადესი უფლების-საკუთარი მიწაწყლის სულიად და განუყოფელად გაკონტროლების უფლების უხეშ შელახვად, ქართველი ერის ღირსებისა და შიდა ქართლიდან აყრილი მკვიდრი ქართული მოსახლეობის უფლებების აბუჩად აგდებად.

შექმნილი მდგომარეობიდან ღირსეულად და საქართველოს სუვერენული უფლებების დაუთმობლად გამოსვლისათვის საქართველოს სახალხო ფრონტი საჭიროდ მიიჩნევს:

1. ცხინვალის რეგიონის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს რეალური სუვერენიტეტის აღდგენას.

2. ცხინვალის რეგიონიდან სხვა სახელმწიფოთა უკლებლივ ყველა სამხედრო ნაწილის გაყვანის და უცხო სახელმწიფოს ყველა უნებართვოდ შემოსული მოქალაქის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებას.

3. შიდა ქართლში ჩადენილი ყველა დანაშაულის გამოძიების და დამნაშავეთა გასამართლებას.

4. ყველა სახის უკანონო შეიარაღებული ფორმირების განიარაღებას და დაშლას.

5. ცხინვალის რეგიონიდან იძულებით აყრილი ქართული მოსახლეობის თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

6. ცხინვალზე გამავალი ნარკობიზნესის გზის გადაკეტვა ნებისმიერი საშუალებით.

7. ცხინვალის რეგიონში საქართველოს უზენაესი საბჭოს მაჟორიტარული წესით არჩევნების ჩატარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყრილობის დაწყებამდე

## საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს

### ბატონ ნოდარ ნათაძეს

ბატონო ნოდარ, 1989 წლის ზაფხულში სახალხო ფრონტის I ყრილობის მიმდინარეობის დროს ქვემო ქართლიდან მოვიდა საგანგაშო ცნობა, იქაური არაქართული მოსახლეობიდან ეთნოკონფლიქტის მცდელობის შესახებ. იმჟამად თქვენ აგირჩიეს სახალხო ფრონტის თავმჯდომარედ და, აი, იმ დღიდან მოყოლებული (მანამდე ჩვენ ბავშვები ვიყავით და არ გიცნობდით) გხედავთ ყველგან, სადაც საქართველოს განსაკუთრებით უჭირს. ქვემო ქართლი იქნებოდა ეს, მესხეთ-ჯავახეთი, სამაჩაბლო თუ აფხაზეთი.

თქვენი შემართება და მამულიშვილობა გვამხნევებს. გვინდა დიდხანს სიცოცხლე გისურვოთ და მოგილოცოთ სსფ-ს მე-3 ყრილობაზე ამ პატრიოტული ორგანიზაციის თავმჯდომარედ კვლავ ერთხმად არჩევა.

პატივისცემით
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები

## ვულოცავთ

ჩვენი რედაქციის თანამშრომლებს

**ხათუნა ცხადაძეს**

და

**თენგიზ გოგოტიშვილს**

ოჯახის შექმნას, ვუსურვებთ ახალშეუღლებულებს ბედნიერებასა და მრავალშვილიანობას.

**გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.**

გამოხმაურება

# რამდენიმე შეკითხვა ბატონ ნოდარ ლომოურს

აჭარის ხელისუფალთ არაერთხელ, მათ შორის რუსულენოვანი მკითხველისათვის, საჯაროდ განუცხადებიათ, რომ აჭარაში ოპოზიცია სუსტია და ხელისუფლებას მოსახლეობისაგან ტოტალური მხარდაჭერა აქვს.

ჰოდა, სწორედ ამ „სუსტი ოპოზიციის“ წინააღმდეგ აგერ ორ თვეზე მეტია გაზეთ „აჭარასა“ და აჭარის ტელევიზიაში მართლაცდა ტოტალური ლაშქრობა მიმდინარეობს. ამ ხნის განმავლობაში თითქმის არ გამოსულა გაზეთის ნომერი, სადაც ოპოზიციონერთა „კრიტიკა“ (უფრო კი ლანძღვა-გინება) არ იყოს.

ოპოზიციისთვის კი აჭარის საინფორმაციო საშუალებების კარები საიმედოდაა ჩარაზული. თითქოს ეს საკმარისი არ იყოს და არც თუ იშვიათად თბილისიდან ცნობილი პიროვნებები მხარს უბამენ ამ კამპანიას აჭარის ხელისუფლების პოლიტიკის ოპოზიციონერთა წინააღმდეგ. ამის გამოხატულებაა ცნობილი მეცნიერის, პროფესორ ნოდარ ლომოურის წერილის „საქართველოს ოპოზიციისათვის არ სცალია, ანუ „არაპროფესიონალური ამბიციურობა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 17 აპრილი, 1993) ერთი პატარა მონაკვეთი.

პროფ. ნ. ლომოური აღნიშნავს, რომ ის ძალიან კარგადაა გაცნობილი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრების — დავით ბერძენიშვილისა და თამაზ დიასამიძისადმი, მაგრამ ისინი მისივე აღნიშვნით პიროვნულ მოტივებს (!-მ.მ.) ეროვნულ ინტერესებზე მაღლა აყენებენ და ამასთან, აგერ ერთი წელია, აჭარაში დესტაბილიზაციის გამოწვევას ცდილობენ, მაშინ როცა აჭარაში სასურველი სტაბილიზაციაა.

უმძიმესი ბრალდებაა!

ამასთან დაკავშირებით ჯერ რამდენიმე შეკითხვა გვაქვს პროფესორთან.

ბატონო ნოდარ!

— რით ახსნით იმ ფაქტს, რომ თბილისში არ ჩამოდის არა მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წევრი, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, არამედ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის უზენაესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარეები ზოგიერთი მინისტრი, თუმცა მათ ვიზიტებს საქართველოს ფარგლებს გარეთ თვლა არა აქვს?

— რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ აჭარის ხელისუფლების მიერ მოსახლეობაში დიდი რაოდენობით იარაღის დარიგება რეგიონში სტაბილიზაციის შენარჩუნების მიზნით?

— შეიძლება თუ არა სტაბილურად სანიმუშოდ ჩაითვალოს რეგიონი, სადაც იტაბენ დეპუტატებს და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ მათ, არბევენ ოპოზიციონერთა ოფისებსა და საცხოვრებელ სახლებს და სხვა. ამ დროს კი არც ერთი შემთხვევა გამოძიებული არ არის?

— დემოკრატიის რომელ ფორმას მიაკუთვნებთ იმას, რომ გაზეთი „აჭარა“ ორ თვეზე მეტია თითქმის მთლიანად ოპოზიციონერთა ლანძღვა-გინებას უნდება და ამასთან კატეგორიულ უარს ამბობს მათი საპასუხო წერილების გამოქვეყნებაზე?

— როგორ შეფასებას მისცემდით იმ ფაქტებს, რომ ბათუმში ზარ-ზეიმით ხვდებიან რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს წევრებსა და რუსეთის თავდაცვის მინისტრს (მაშინ როცა, გენერლის პროვოკაციულ განცხადებას იმთავითვე მკვეთრად უარყოფითი შეფასება მისცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა), ხოლო საქართველოს პარლამენტის წევრთა ერთ ჯგუფს საშუალებას არ აძლევენ შეხვდნენ ამომრჩევლებს ბათუმში დ იქიდან აძევებენ კიდეც?

— ვისი „დამსახურებაა“ — აჭარის ხელისუფლების თუ მისი ოპოზიციის, რომ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს, პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან გვერდის ავლით იღებს დადგენილებას და იწონებს წინადადებას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან ეკონომიკური და ჰუმანური კავშირების განვითარების შესახებ? (დაწვრილებით იხ. გაზეთი „უწყებანი“, 17 აპრილი, 1993).

— საერთოდ როგორ უყურებთ ამგვარ დადგენილებას და როგორ შეაფასებთ ბოლო ხანებში რუსეთის მხრიდან დიდ მზრუნველობას აჭარისადმი?

სხვა კითხვებიც არის, მაგრამ საქმის არსის გასაგებად ესაც საკმარისია.

ბატონ ნოდარს ვთხოვ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის გარეშე ნუ შეეცდება ჩვენი მიმართვის შეფასებას.

პროფ. ნ.ლომოური აჭარის ხელისუფლების ოპოზიციონერთა თვალში ბეწვს ეძებს, ხოლო ხელისუფალთა სახიფათო თამაშს თითქოსდა ვერ ამჩნევს. აქ თავის მართლება იმით, რომ „მე არ ვიცი, შესაძლოა აჭარაში რაღაც დარღვევები ხდება... „საქმეს ვერ უშ ლის. ამ შემთხვევაში ჯერ ვი. ირების გაგებაა საჭირო და შემდეგ დასკვნების გაკეთება. ბოლოსდაბოლოს შეიძლება მიხვიდე ორივე მხარესთან, მოუსმინო მათ ურთიერთშენიშვნებს, შეაჯერო ისინი და დასკვნების გაკეთება აღარ იქნება ძნელი...

აჭარის ხელისუფლების ოპოზიციონერები, დიდი რისკის ფასად, მამულიშვილური პოზიციიდან ამოსულნი სიმართლეს ამბობენ აჭარის ხელისუფლების სახიფათო თამაშზე. ყოველივე ამის შემდეგ მათ საქმიანობაში მხოლოდ ამბიციურობისა და პირადი ინტერესების ეროვნულზე მაღლა დაყენების ამოკითხვა, პირადად მე მკრეხელობად მიმაჩნია.

დაბოლოს, რიტორიკული კითხვა: თუკი პარლამენტარები დ. ბერძენიშვილი და თ. დიასამიძე ერთი წლის განმავლობაში შეგნებულად ცდილობენ აჭარაში დესტაბილიზაციის გამოწვევას, როგორც ამას პროფ. ნ.ლომოური აღნიშნავს, მაშინ თვითონ ბატონი პროფესორი როგორღაა „ძალიან კარგად განწყობილი“ მათ მიმართ?

მიხეილ მახარაძე.

# „ათასჯერ გადაღეჭილი ცნობების“ სათქმელი

ჯანსუღ ღვინჯილია

„ოლოგდ თქვენი გულისწყრომა ისე გადაცდა კრიტიკული განსჯის, ლიტერატურული საუბრის ფარგლებს, რომ 30—50-იანი წლების ჟანდარმული კრიტიკის ნიმუშებს დაემგვანა“.

„ეს ლუმპენპროლეტარები და ბოლშევიკები იგდებდნენ საცინლად მეფის სახელს· და მათთვის არ წრმოადგენდა არაფერს მეფის გადაგდება-გადმოგდება“.

„ამ ფონზე ცინიზმად და ერის აბუჩად აგდებად აღიქმება თქვენი სიტყვები“.

„თუ თქვენებურად აღიქვამთ,ანუ რომანტიკულ სახეს კულგარული კრიტიკის ხერხებით განვსჯით“...

„ასეთი სასაცილო ცილისწამება ლევან გოთუას მიმართ სხვა რომ ადარაფერი ვთქვა დაუვიწყარ კურიოზად შერჩება ჩვენს პუბლიცისტიკას“.

(როსტომ ჩხეიძე — „ვინც არ არის კახაბერი“ — „საქართველო“ 19—25 თებერვალი, 3—9 მარტი 1993 წ.)

გაურკვეველია, მართლაც „რა დამსახურების“ გამო დაირწმუნა თავი როსტომ ჩხეიძემ, მე ყველაფრის თქმის უფლება მაქვს, რასაც მინდა იმას ვაკადრებ ჩემთან მოპაექრესო.

რამ გაათამამა აქამდე...

როდესაც კაცი იმგვარი სიძოლვილით არის შეპყრობილი საკაძის და მისი „მეხოტბისადმი“, როგორი სიძულვილიც გამოვლინდა ყოველ აბზაცში, მისგან ისტორიული პიროვნებისა და ისტორიული მოვლენების ობიექტურ შეფასებას არც უნდა ველოდეთ, მაგრამ გაზეთ „საქართველოს“ ორ ნომერში გაშლილი მსჯელობა, თუ უპასუხოდ დარჩა, იგი უთუოდ დაანებებს მკითხველს. ამიტომ აღვიჭურვეთ მოთმინებით და ვნახოთ, რა ხდება.

ვრცელ პასუხში როსტომ ჩხეიძემ კი არ იკვლია საკამათო საგანი, სახელდახელოდ გაქექა მისთვის ხელსაყრელი ისტორიული ცნობები, მწერალთა მოსაზრებანი და შედეგად კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა, რომ არ იცის ის ისტორიული ეპოქა, რაზეც ასეთი კატეგორიულია. ... გვაცნობს თავის მოსაზრებებს. მას კი, ეტყობა, ძალიან წყინს, როცა შეეხებიან, რაც არ იცის, იმ საგანზე ასეთი დაბეჯითებით ნუ გამოთქვამ შენს აზრს-მეთქი. მე ერთი ნაუანსითაც არ მიგრძნობინებია მისთვის, რომ საფუძვლიანად არ აქვს გამოკვლეული პავლე ინგოროყვას ღვაწლი და შემოქმედება ან ადამ ბობლიაშვილის ბიოგრაფია, თუმცა, მაგალითად, პავლე ინგოროყვას ბიოგრაფია და გამოკვლევები, იმაზე ნაკლებ როდი მაქვს შესწავლილი ვიდრე როსტომ ჩხეიძეს გიორგი საკაძის პიროვნება.

ადამიანი, რომელიც ასე თამამად აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ სხვის პროფესიულობას, უნდა გაუფრთხილდეს საკუთარ ნაზრევს და ცხელ გულზე ყოველად შეუმოწმებელი შეხედულებები არ უნდა გამოიხიროლოს.

ამა, რა „პროფესიული“ ანალიზის საბუთად გამოდგება იმის მტკიცება, ჩემი წერილი სამოგზაურო ნარკვევიაო. ვინ გვინდა მოვატყუოთ? ამ ფორმით — სამოგზაურო ნარკვევის ფორმით — მოწვდილ ნაშრომში ხომ კატეგორიული მოსაზრებებია გამოთქმული და წარმოადგენს მცდელობას, თავდაყირა დააყენოს საკაძის შესახებ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ყველა ძირითადი დებულება! ცნობილ ისტორიკოსთა, საკაძის პრობლემის მკვლევართა სახელებს ვერც ჩამოთვლი კაცი, იმდენია, რაკი ყველა მათ „საბჭოური საკაძეოლოგიის“ მიმდევრებად მიიჩნევს, როსტომ ჩხეიძეს ცხადია, ეიოლება ერთბაშად გადაუსვას ხაზი ამდენ ნაკვლევ-ნაფიქრს და საბჭოურ ეპოქას გადააყოლოს ყველაფერი. ვისი ნაკვლევი გადაყვება „საბჭოურ იდეოლოგიას“ და ვისი ნაზრევია ფორმით და შინაარსით მართლაც ეულგარული, ამის გარკვევა მთლად ძნელი არ არის, მაგრამ საკამათო საგანს მივხედოთ ისა სჯობს.

როსტომ ჩხეიძემ მოიარებით შემახსენა, ამოსავალი გაქვს მცდარი ერთ-ერთ წერილშიო. აი, სწორედ ამოსავალი აქვს მცდარი საკაძის გარშემო გაშლილ მსჯელობაში ოპონენტს, რის გამოც ვერაფრით ვერ ახერხებს საღ მსჯელობას და მიუდგომელ ანალიზს. უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას უმთავრესზე: როდესაც ასე გძულს პიროვნება, მისი ცხოვრება არ უნდა იკვლიო, რადგან სულ ტენდენციური იქნები, შენი სულიერი მდგომარეობა არასდროს არ დაანებებს შენს მზერას, დაინახოს იმ პიროვნების სიკეთენი. ფაქტია, რომ საკაძისადმი სიძულვილი დიდია როსტომ ჩხეიძეში და ის სიძულვილი დაბადა, საქწუხაროდ, არა ისტორიული მოვლენების ღრმა გაჩხრეკა-გაცნობიერებამ! თუ ის ჩანერგილი სიძულვილი არა, ხომ დაინახავდა ამოსავალს. ამოსავალი კი იმოდენაა, საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩანს, აგერ თითქმის ოთხი საუკუნეა. იმ ამოსავალზე, იმ უმთავრესზე ის შინაგანი სიძულვილი როსტომ ჩხეიძეს ათქმევინებს, ეს საკაძის ცხოვრების მხოლოდღა ეპიზოდებიაო.

რა არის ეპიზოდი? ტაშისკარის ბრძოლაა ეპიზოდი? ქართლის ციხეების აღება, სამცხე ჯავახეთის სიმაგრეების აღება, ასპინძასთან ყორჩიბაშის ჯარის განადგურება, ბირთვისის ოპერაცია, ლისის ტბასთან 60 კაცით 700 კაცის მოსპობა, დაღესტნის დალაშქრა, შაჰაბასის არმიის გაცამტვერება და საქართველოს საზღვრებს გარეთ გარეკვა არის ეპიზოდები ადამიანის ისტორიისა?

როცა ამას ვიტყვით, ყოველივე ამის შემდეგ აქვს ფა[illegible] ანალიზს ან მსჯელობას? ერთი ტაშისკარის ბრძოლა არ ეყოფოდა ნებისმიერ მხედართმთავარს უკვდავსაყოფად? და სხვა რამ არაფერი მიემატებინა, ის ტაშისკარის ბრძოლაა მისი ცხოვრების მხოლოდღა ეპიზოდი იქნებოდა? თუ სწორედ ეს ტაშისკარის ბრძოლაა მთელი ცხოვრება? ცხოვრების მთელი შინაარსი, მისი სიმაღლე?

არ იფიქროს ვინმემ, სიტყვაზე ვიჭერდე ოპონენტს. ეს პრინციპული საკითხია. აქედან იწყება მთელი გაუგებრობა:

თუ ტაშისკარს, მარტყოფის აჯანყებას, მარაბდას, ქსანს, „საარაკო“ ბრძოლებს მხოლოდ ეპიზოდად ჩავთვლით, ცხადია, გაგვიადვილდება საკაძის დამსახურებათა განქიქება! გასარკვევია სწორედ ის, თუ რატომ არიდებს თვალს როსტომ ჩხეიძე საქართველოს ისტორიის ამ მწვერვალებს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მართლაც რომ მწვერვალებია საქართველოს ისტორიისა— ტაშისკარი, მარტყოფი, მარაბდა, ქსანი, აღმოსავლეთ საქართველოს აყრა-გადასახლებისაგან გადარჩენა! თუ ცნობებს ამ მოვლენების შესახებ შევხედავთ, როგორც „ათასჯერ გადაღეჭილს“ ე.ი. მობეზრებულს, თუ ალერგიულნი ვართ ამ „ათასჯერ გადაღეჭილი“ ცნობებისადმი, რა ძალა გვადგას, თავს რატომ ვისჯით, მაინც ხომ ვერაფერს გამოვიკვლევთ. როგორ ვფიქრობთ, გაქრება წყაროებიდან არჩილ მეფეს, როსტომ მეფის, ისქანდერ მუნშის, ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტი ბაგრატიონის, იბრაგიმ ფეჩვის, მუსტაფა ნაიმის, ქათიბ ჩელების, კასტელოს, ნიკიფორე ირბახის, მისიონერთა ცნობები? ცხადია, ყველა არ ჩამოთვლილა (არც თანდევრობა დამიცავს). ის ცნობები ხომ არსებობდნენ, არსებობენ და იარსებებენ? ამ ცნობებში ვგულისხმობ სწორედ შავით თეთრზე დაწერილ უტყუარ ინფორმაციებს და მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ მარტყოფის გრანდიოზული აჯანყებით გიორგი საკაძემ ქართლ-კახეთი სრული აყრა-გადასახლებისაგან იხსნა. მართლა, რომ არ მოვაბეზროთ თავი მკითხველს, მხოლოდ ერთი გავიხსენოთ, სწორედ ვახუშტი ბაგრატიონისა: („გარნა თუმცა არა ეხილა მოურავს წიგნი იგი შიკრიკისა, აყრილიმცა იყო ქართლი, გარნა იხსნა ღმერთმან ეკი თვისი ესრეთ“). ხომ იგივე უწერია არჩილ მეფეს, როსტომ მეფეს, თურქ ისტორიკოსებს... შეიძლება განა იმის დაშვება, რომ ამოდენა მოვლენა ეპიზოდად გამოვაცხადოთ და ამ მოვლენის შესახებ არსებული ცნობები მათი „ათასჯერ გადაღეჭილობის“ გამო თავის მომაბეზრებელ დებულებებად დავუსახოთ მკითხველს?

როსტომ ჩხეიძე სულ იმის ცდაშია, რომ მკითხველს შეუქმნას ამ შეუვალი ცნობების „გადაღეჭილობის“ განცდა, როგორმე ამოუგდოს მეხსიერებიდან ის უმთავრესი აზრი, რომ მარტყოფის აჯანყებით გიორგი საკაძემ მთელი აღმოსავლეთ საქართველო იხსნა აყრა-გადასახლებისაგან.

აქვე ვთქვათ ერთ რამეზეც. მარტყოფის აჯანყება სამხედრო ხელოვნების ნამდვილი ფეიერვერკია! აბა გავიხსენოთ: ოცდაათი ათასი კაცის შეაგულში გიორგი საკაძე ჩადის სასწაულს. ოთხი კაცით მთელს სარდლობას ამოჟლეტს და ბრძოლის ველს მოახლოებულ ქართველობას თავწაკვეთილ ურჩხულს დაუგდებს წინ. წამებშია გათვლილი ქართველთა უმამაცესი ლაშქრის შემოსვლისა და მთავარი დარტყმის სინქრონულობა! ჩვენ ისტორიული მდგომარეობისადა არცი[illegible]ვეიაად ტრ[illegible]დიციული თავდადებულობის გამოც, ვერ დავანახეთ საქართველოს უნიკალური მოვლენები მსოფლიოს. ომებიდან ვგულისხმობ, უპირველეს ყოვლისა, დიდგორს, შქორსა და ბახიანს, სადაც მსოფლიო მასშტაბის ბრძოლები გადავიხადეთ.

უნიკალურია სამხედრო ხელოვნების ისტორიაში მარტყოფის აჯანყება გამიზნულებით, შესრულების ვირტუოზულობითა და იმ შედეგებითური, რაც მას მოჰყვა. როგორ გვინდა ახლა გავახუნოთ ისტორიის ეს ფურცელი, როგორ გვინდა თვალი ავარიდოთ ამ მწვერვალს, არც გავიხედოთ ტაშისკარისკენ, მარტყოფისაკენ, მარაბდისაკენ. ქსნისკენ, „საარაკო“ სახალხო ბრძოლებისაკენ და ვილაპარაკოთ მხოლოდ იმაზე, რომ თურმე „შემოუძღვა“, „ლუარსაბ მეფე მოაკვლევინა შაჰს“, „აზრახებდა“ თურქეთის სულთანს“, ზამთარში მისვლას ურჩევდა“; როგორ გვინდა, რომ დიდ ბრძოლებს ვალის მოხდის მიზნით „უდავო დამსახურებანი“ ვუწოდოთ, ის „უდავო დამსახურებანი“ ძლივს გამოვცრავთ მოკლედ, „საქართველოს“ ოთხ გვერდზე კი ვრცლად მხოლოდ „უმძიმეს ცოდვებზე“ ვილაპარაკოთ?

არ გამოვა ასე. ვხედავ, რომ როსტომ ჩხეიძეს არ შეუძლია შეისმინოს მტკიცება, დაინახოს არგუმენტი...

მაგრამ რაღაც ცნობები ხომ დაიმოწმა, საქმეში ჩაუხედავი ზოგი მკითხველი ხომ შეაეჭვა. აი, ამის გამო ვხდები იძულებული, ხელახლა ვამტკიცო დამტკიცებული, კიდევ ერთხელ გადავღეჭო „ათასჯერ გადაღეჭილი“ ცნობები, რომელთაც ამ“ათასჯერ გადაღეჭილობის“ გამო როსტომ ჩხეიძისათვის გემო და სურნელი გაქრობია! როსტომ ჩხეიძე ისეა გართული განქიქების ჟანრით, ისე აქვს დაკარგული წონასწორობა კამათში შემოსულს, **რომ ვერც უკვირდება, როგორ მისდაუნებურად აღარიბებს საქართველოს ისტორიას.** გაღარიბებაა, მაშ რა არის თუკი დასცემ ტაშისკარის ბრძოლის მნიშვნელობას, მარტყოფის აჯანყების უნიკალურ შინაარს თუ დააკნინებ, თუ გააუფასურებ პაატას თავს, გაახუნებ მარაბდის და ქსნის გმირული ბრძოლების ცეცხლს, თუკი მიაფუჩეჩებ აღმოსავლეთ საქართველოს გადარჩენის ისტორიულ მოვლენას და მთელ აქცენტს გადაიტან ბაზალეთის ბრძოლაზე, „საჩოთირო“ ნაბიჯებზე, მტრის შემოძღოლაზე, თუკი საბჭოური იდეოლოგიის ნაყოფად მონათლავ შენი წინამორბედების მრავალწლიან კვლევას და შეეცდები თუნდაც საკუთარ ფიქრში გადააყოლო იგი იდეოლოგიის და დაბეჯითებით ამტკიცო, რომ „გადაყვება“...

აი, ეს გახლავთ ამოსავალის სიცდარე. თავშივეა ყველაფერი მოწამლული და გაუბედურებული. რა თქმა უნდა, თუკი უღელტეხილივით აზიდული მოვლენები მხოლოდღა ეპიზოდებია, მაშინ შესაძლებელია ნებისმიერი პიროვნების ცოდვათა გამოცხადება ღალატად და რენეგატობად.

სწორედ დახლართულ, ურთულეს ისტორიულ ეპოქას უნდა მთლიანობაში განხილვა .და განხილვა ესაჭიროება სწორედ იმ დიდი ისტორიული მოვლენების გადასახედიდან. იქიდან კი ნაკლსაც და ცოდვასაც კარგად გავზომავთ.

„ის კი არა, თქვენი უზომო სიყვარული მისტიკურ თაყვანებაში გადაიზრდება“.. მწარედ მსაყვედურობს როსტომ ჩხეიძე. სხვა ადგილას ასევე პირდაპირ მომახლის, თითქოს საკაძისაგან მე კერპი შევიქმენი.

სწორედ ასეთი დაუკვირვებელი, ზედაპირული და [illegible]ბარევი დასკვნებისათვის ვუპასუხე მე მას.

ახლა უფრო ფართოდ და ხშირად იმეორებს იმავე შეცდომებს, სხვა შეიხვეევაში მე ვერ დავავალდებულებდი როსტომ ჩხეიძეს ჩემი წიგნი გულდასმით წაიკითხე-მეთქი. მაგრამ იგი ჩემი პასუხის შემდეგაც არ ჩაუღრმავდა საკითხს, ისევ სახელდახელოდ გაქექა წიგნები და წერილები, მათ შორის ჩემი წიგნიც და დაუყოვნებლივ მომაგება დაუნდობელი პასუხი. ჩემი წიგნისა არც თავი გაუგია და არც ბოლო.

ჩემი წიგნის მიზანდასახულება აინუნშიაც არ ჩაუდია როსტომ ჩხეიძეს თუ წიგნს საფუძვლიანად გაეცნობოდა, მაშინ საიდან უნდა ემტკიცებინა „საბჭოური საკაძეოლოგიის ნაყოფია ჯანსუღ ღვინჯილიას „კომენტარებიო“. ვერ მიაქცია თუ არ მიაქცია საგანგებოდ ყურადღება, რომ მიზნის მისაღწევად მე მჭირდებოდა მომეხმო ყველა დადებითი და უარყოფითი შეფასება,რაც კი გამოთქმულა საკაძის მისამართით. ყველა არსებითი ცნობა მოტანილი და გაანალიზებული მაქვს. და თუ გამოტოვე ზოგიერთი, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იმეორებენ ძირითად წყაროებში დაცულ ქებას თუ ძაგებას, ახალს არაფერს შეიცავენ და სულ ტყუილად გადატვირთავდნენ წიგნს. სხვათაშორის, თუ გამოვტოვე უფრო დადებითის მეტყველი ცნობები. მაგალითად, საერთოდ ავუარე გვერდი იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანს“, მიუხედავად იმისა, რომ ამ პოემის სანდოობა შესანიშნავად აქვთ დასაბუთებული პოეტ გიორგი ლეონიძესა და მკველევარ რიმა ფირცხალაიშვილს.

მე ღრმად მწამდა, რომ გიორგი საკაძის პიროვნება უნდა მეკვლია ძირითადად მე-17 და მე-18 საუკუნეების წყაროებით, მათი შესწავლითა და ურთიერთშეჯერებით და არა სტალინის პერიოდის „საკაძეოლოგიის“ მხარდაჭერით. მე გვერდი ავუარე თვით ანტონ ფურცელაძის „ყალბად“ ნაინტერესო ნაშრომს, რადგან იგი საერთოდ არ ცნობდა არავის გიორგი საკაძის გარდა. ჩემთვის გასაგები იყო ავტორის პათოსი აღიდგინა ისტორიული სამართლიანობა, მაგრამ ლაშის წმინდანად საკაძის შერაცხვა მართებულად არ მიგიჩნიე და უეშვიათესი გამონაკლისის გარდა, არც დავიმოწმე იგი. ეს არ ნიშნავს ჩემგან ამ წიგნის უგულვებელყოფას, არც იმას, როსტომ ჩხეიძეს ვეთანხმებოდე ანტონ ფურცელაძის შეფასებაში.

სტალინის დროინელი ანუ „საბჭოური“ მეთოდოლოგიის თავდაყირა დაყენებაა ჩემი წიგნი, სწორედ თავისი მიზანდასახულობით, წიგნის მთელი სტრუქტურა ყოველმხრივ გაშლილ ანალიზს ეყრდნობა, ხოლო თუკი წყაროების შეჯერება-გაანალიზების გზიდ მე როსტომ ჩხეიძისაგან განსხვავებული დასკვნები დამიგროვდა, რა შუაშია აქ სტალინის პერიოდის ფილმი და რომანები? ჩემი ანალიზი ხომ იქ ტრიალებს: მეცხრამეტე, მეჩვიდმეტე საუკუნის წყაროებში?

რაც შეეხება გივი ჯამბურიას, ნოდარ შენგელიას, რიმა ფირცხალაიშვილის, გიორგი ლეონიძის, ნიკო ბერძენიშვილის და სხვათა მოსაზრებებსა და გამოკვლევებს: მათ ყოველად კეთილსინდისიერად, მეცნიერული სიდარბაისლით აქვთ შესწავლილი ყოველგვარი მასალა და ობიექტურად აქვთ დადგენილი ისტორიული სინამდვილე. სწორედ მე-17, მე-18 და მე-19 საუკუნის წყაროთა გულდამჯდარი კვლევა მოგვაწოდეს და რატომ უნდა ავუაროთ გვერდი? დიახ, ბატონებო! ნურავის ჰგონია, „საბჭოურ ეპოქაში“ ან კეთილსინდისიერად არავის უკვლევია, ან პატიოსნად არავის უწერია. საკაძეს სწორედ სტალინმა გაუფუჭა საქმე! მივანიშნე მე ამის შესახებ გარკვევით წიგნში. მისი ძაგების მოსურნეებმა, სწორედ სტალინისეული ეპოქა დაიცვეს თითზე, თითქოს საკაძის პიროვნების შესასწავლი საკმარისი წყაროები მეოცე საუკუნემდე არ არსებობდეს, თითქოს მანამდე არაფერი თქმულიყოს მასზე.

„როსტომ ჩხეიძე არავის და არაფერს არ უწევს ანგარიშს. არც სხვათა მოსაზრებებს, არც ისტორიული ფაქტებსა და მოვლენებს, არც არგუმენტებს, არც დიდ მწერლებსა და მეცნიერებს, არც ხალხსა და არც ქვეყანას“. ოპონენტი აღუშფოთებია ამ სიტყვებს. რა თქმა უნდა „მძიმე ბრალდებაა“, რა თქმა უნდა აღსაშფოთებელია. მაგრამ, ჯერ ერთი, არ მითქვამს ეს სიტყვები მის სხვა ნაშრომთან დაკავშირებით. ვთქვი საკაძესთან დაკავშირებით, რადგან ადგა და ერთი ხელის მოსმით მოინდომა ყველაფრის გადაშლა, რაც კი უზარმაზარ კვლევის ისტორიას შეადგენს დიდი მოურავის გარშემო. ახლა რას გამოასწორებს სამოგზაურო ნარკვევად იმ წერილის გამოცხადება, აღსაშფოთებელი გახლდათ სწორედ მისი განსაზღვრებანი, რომელიც არც „ალეგორიულ და არც სიმბოლურ“ პლანში არ ყოფილა გახვეული, შიშვლად „მკვეთრად“ (როგორც თავად აღნიშნავს) იყო გამოთქმული. ახლა ვნახოთ, არის თუ არა ჩემს საშინელ ბრალდებებში“ რაიმე უზუსტო. უწევს ოპონენტი ანგარიშს სხვათა მოსაზრებებს? კერძოდ, გივი ჯამბურიას, ნოდარ შენგელიას, სვიმონ გამსახურდიას, რიმა ფირცხალაიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და სხვათა მოსაზრებებს?... საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულს? საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებს? ივანე გომართელს, ტიციან ტაბიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს? (აკაკი წერეთელთან დაკავშირებით ცალკე უნდა ითქვას!), პლატონ იოსელიანს, ანტონ ფურცელაძეს და მე-18, მე-17 საუკუნის მემატიანეებსა და მოგზაურებს? ვერც მეცნიერებს? ვერც მეცნიერებს და ვერც წყაროებს **სრულად ვერ ჩამოთვლი!.. იქნებ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს უწევს ანგარიშს?**

ეპიზოდებად აცხადებს ტაშისკარს, მარტყოფს, მარაბდას და ქსანს, საყოველთაო სახალხო ბრძოლას, რომელსაც გიორგი საკაძე ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ირანის წინააღმდეგ.

მკვლევარმა ვახტანგ სიდამონიძემ წლების წინათ გამოსცა კრებული საკაძისადმი მიძღვნილი ლექსებისა და გადმოცემებისა, რომელთა სოლიდური ნაწილი სწოდ რომ ანტონ ფურცელაძის წიგნამდეა შექმნილი. ხალხის უსაზღვრო სიყვარულზე მეტყველებს არა მარტო ეს გადმოცემები, არამედ ისტორიული წყაროები (იგივე პლატონ იოსელიანის ცნობები) მეტყველებს, უპირველეს ყოვლისა, უტყუარი ისტორიული ფაქტები. თავდავიწყებით შეყვარებული და იმედით გამსჭვალული ერი ერთსულოვნად მიყვებოდა მას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ტაშისკართან, მარტყოფთან, მარაბდასთან, ქსანთან, (რომ არაფერი ვთქვათ შედარებით წვრილ-წვრილ ბრძოლებზე).

აი, ამ ხალხსა და ქვეყანას, ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, მწერალთა, მეცნიერთა მოსაზრებებს, წყაროებში დაცულ ცნობებს არ უწევს აგარიშს როსტომ ჩხეიძე. მას, ცხადია, შეუძლია არ დეთანხმოს არავის, საპირისპირო მოსაზრებებს დაეყრდნოს, მაგრამ ანგარიში არ გაუწიოს ამოდენა ტრადიციას და უზარმაზარი მოცულობის ლიტერატურას, ეს არ მოხერხდება! ასეთი მცდელობისას მას მუდამ უნდა ჰქონდეს მოლოდინი „მკვეთრი“ შეპასუხებისა.

როსტომ ჩხეიძე ცდილობს მკითხველს ჩაუქედოს ფიქრი, თითქოს ჩემი წიგნი რეალურ ისტორიულ პიროვნებას არის დაშორებული. იმიტომ რომ ჩემს მიერ გამოკვლეული დიდი მოურავის პიროვნება როსტომ ჩხეიძის „სასურველ ხაზს“ არ ემთხვევა? როსტომ ჩხეიძეს მხოლოდ თუ ჩაუხედავს ჩემს წიგნში და ამოუკრეფია „ლაფსუსები“. მან ეს წიგნი საერთოდ არ იცის, არც მომავალში ეცოდინება, რადგან სიტულეელით მივიდა მასთან, სიტულეელით აიღებს მომავალშიც მას ხელში, არც წიგნის სტრუქტურას, მიაქცევს ყურადღებას, და არც იქ გაშლილ ანალიზს. მისთვის მთავარია, გადმოისროლოს ფრაზა, ჯანსულ ღვინჯილიას წიგნი ორიოდე ნაშრომის კომენტარია და მეტი არაფერი. როცა ეს აზრი უნდა დაამკვიდროს, რა ხელს აძლევს წიგნის გამოწვლილვითი ანალიზი. მარტყოფის აჯანყებას უწოდა რაღაც ეპიზოდი და ჩემი წიგნისათვის სხვა ნაშრომების კომენტარები ეწოდებინა, რატომ გაუჭირდებოდა?

ვარაუდი ბატონ ივანე ჯავახიშვილზე მე არ განმეცხადებია. განაცხადა იგი როსტომ ჩხეიძემ. წიგნში გვერდი აკუარე დიდი მეცნიერის სახელს, არა იმიტომ რომ ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტი მბორკავდა, არამედ იმიტომ რომ თავად ჰქონდა ავლილი გვერდი დიდ ივანე ჯავახიშვილს ამ თემისათვის, მაგრამ თუკი ვინმე ვარაუდებს გამოთქვამს ( და გამოთქვა კიდეც როსტომ ჩხეიძემ),მაშინ ვითომ რატომ არ შეიძლება საპირისპირო ვარაუდის გამოთქმა?

კიდევ ერთხელ: რომელ პროფესიულ ანალიზზეა ლაპარაკი, როდესაც ქაიხოსრო ჯავახიშვილსა და გიორგი საკაძეს ორ რიგით ფეოდალად ეაცხადებთ (თურმე ნუ იტყვით სამი საუკუნის წინათ ორი ფეოდალი ერთმანეთში ვერ მორიგდა“). უნდა შეავსხენო ოპონენტს, რომ ამ ორ ფეოდალთაგან ერთი უშუალოდ ივანე ჯავახიშვილის წინაპარია ხოვლედან, ხოლო მეორე გიორგი საკაძე, იმ დიდი ისტორიული მოვლენების შემოქმედი, რომელთა მნიშვნელობა, ჩემგან, ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ სხვებისაგან კი უნდა შეესწავლა როსტომ ჩხეიძეს. ამ ორი ფეოდალის წაკიდებას („ვერ მორიგებას“) მოყვა გადატრიალება სამეფო კარზე, დიდგაროვანთა დასის დაპირისპირება ტაშისკარის ომის გმირთან, საკაძის სასიკვდილოდ გამომეტება და ქართლის სახელმწიფოებრივი სიმტკიცის რღვევა. ამ ურთულესი მოვლენის გამოძიების ჯამს ბატონი ივანე ჯავახიშვილი დიახაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა. არ არის ეს ისტორიის პროფესიული ანალიზი, როცა გინდა გაუბრალოო, „ორი ფეოდალის ვერ მორიგებამდე“ დაიყენო ამოდენა სახელმწიფოებრივი კონფლიქტი. ქაიხოსრო ჯავახიშვილმა და შადიმან ბარათაშვილმა, ფარსადან ციციშვილმა და სხვა დიდგვაროვნებმა ტაშისკარის ბრწყინვალე გამარჯვების მიმდევი ენერგია გამოაცალეს ქვეყანას საკაძის სახით. ის ენერგია წლების შემდეგ მობრუნდა, და მიუხედავად იმისა, რომ მოღალატის იარლიყი მიაწებეს, მარტყოფის უნიკალური ძალის აჯანყებაში დაუსაბუთა თავისი მამულიშვილობა ქართველ ხალხს. აქვე გაიცისკროვნდება პაატას მოჭრილი თავის დიდი სიმბოლური მნიშვნელობა. ეს ისტორიული მოვლენები უნდა შეეფასებინა დიდ ივანე ჯავახიშვილს და არა ორი ფეოდალის „ვერ მორიგება“. ნუ შეეცდებით ყოველივე ადამიანური გამოვაცალოთ საამაყო მეცნიერს და პირადი გრძნობებისათვის ადგილი არ დაუტოვოთ. შეზღუდა რომელიმე ისტორიკოსი გიორგი საკაძის ღვაწლის დაფასებისას ივანე ჯავახიშვილს პოზიციამ? როგორ ვფიქრობთ, მათთვის უცნობი დარჩებოდა „ქართველი ერის ისტორიის“ ავტორის პოზიცია?

საპასუხო წერილში მე შევახსენე ოპონენტს, მოვეშვათ ვარაუდებს, რაც ხელთა გვაქვს, იმაზე დაყრდნობით ვილაპარაკოთ-მეთქი. ახლაც ამასვე ვიმეორებ...

დიდი ივანე ჯავახიშვილის პატივისცემას კი ნურავინ მასწავლის, ნურც მისი დიდი მეცნიერების ცოდნაში მოინდომებს ვინმე ჩემს დაჩაგვრას.

გამოკვლეულია და მე ჩემს წიგნში მითითებული მაქვს იმის შესახებ, რომ მე-17 საუკუნეში საკაძის დიდ სახელს პატივისცემა და დაფასება არ მოკლებია, რომ მისი ძაგება დაიწყო მეთვრამეტე საუკუნეში, ბაგრატიონთა დინასტიის ზოგიერთი წარმომადგენლის სურვილისდა მიხედვით.

ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლებს, ცხადია, გულზე არ ეხატათ გუშინდელი აზნაურის სახე. ბარათაშვილების, ჯავახიშვილების, ციციშვილების, ვაჩნაძეების შთამომავლები ასე იოლად რატომ დაივიწყებდნენ ამ მტრობას. მას უზარმაზარი მასშტაბები ჰქონდა! სუბიექტური ფაქტორის უარყოფას ნუ შეეცდებით. სუბიექტურ ფაქტორს მნიშვნელობა როგორ არ აქვს. მნიშვნელობა, შესაძლოა, იმასაც ჰქონდეს, რომ როსტომ მეფის მხარეზე მებრძოლმა გიორგი საკაძის ვაუმა იორამ საკაძემ ერთი ცნობის მიხედვით ორი ძმა ჩხეიძეები დაატყვევა. „გარნა ორთა ძმათა ჩხეიძეთა, ნოდარის თანა მყოფთა, მოყურობით არა ინებეს ლტოლვა, მოიქცენ და ჩამოჰყარნეს მხედარნი, ხოლო იორამ მოურავისშვილმან ჩამოჰყარნა იგინი, შეიპყრნა და მოართუა როსტომ მეფესა, ესე იორამ მოიყვანა როსტომ მეფემან არზრუმიდან კეთილისყოფისათჳს, რომელი უქმნა მოურავმან მას“. ვახუშტი ბაგრატიონი.

ჩვენ უნდა შევეცადოთ გავარკვიოთ, საკაძის მისამართით გამოთქმულ ბრალდებებში რომელია საფუძვლიანი და რომელი უსაფუძვლო, რა გაკეთა მან საქართველოსათვის და რაში შეცდა, სად და სად შეცოდა. ყოველივე ამის გამოკვლევის მიზნით ვუტრიალე მის ყოველ ნაბიჯს წიგნში და ათასნაირად ვამოწმე და შევაჯერე ცნობები და მოსაზრებანი. ვინ დაარწმუნა ჩემმა ანალიზმა, ვინ არა. როსტომ ჩხეიძე ოპონენტების რიგშია, მისგან სახელდახელოდ გაბუნდოვანებულ საკითხებს უნდა მოკუბრუნდე.

როსტომ ჩხეიძე წერს: „არაფერი მითქვამს მის აქტიურ მონაწილეობაზეც ყიზილბაშთა მიერ ქართლ-კახეთის . აოხრებაში 1614—17 წლებში...

მთავარი სადავო სხვა მჭონდა.

რა ამოძრავებდა გიორგი საკაძეს თავისი მღელვარე და დაუცხრომელი ცხოვრების გზაზე — საქართველოს გაერთიანების იდეა, როგორც გაბატონებული აზრი გვარწმუნებს, თუ პატივმოყვარეობის, განდიდების შურისგების ჟინი?

ჩემს წიგნში ურიცხვი წაროსა და ისტორიკოსთა მოსაზრებების გაანალიზების შემდეგ გამოტანილი აზრი ასეთია: საკაძეს ამოძრავებდა და საქართველოს გაერთიანების იდეა და არა შურისგების ჟინი, ასეთი დასკვნა ჩემამდე გამოტანილი აქვთ ნაფიც ისტორიკოსებს, რომელთაც ასევე ჩემამდე უამრავი წყარო შეაჯერეს ერთმანეთთან და ცნობების, სიგელ გუჯრების, ფაქტების ყოველმხრივი გასინჯვის შემდეგ მივიდნენ იმ „გაბატონებულ აზრამდე“.

გადმოვწეროთ ყველაფერი საგაზეთო სტატიაში?

მთავარი გავიხსენოთ: უტყუარად არის მიწნეული შაჰის კარის ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოზე. ისქანდერ მუნშის მაქსიმალურ სანდოობას აღნიშნავს დიდი ივანე ჯავახიშვილიც. ისქანდერ მუნშის „ცნობები საქართველოს შესახებ“ კი გვამცნობს დაწვრილებით, თუ რამ გააცოფა შაჰი. იგი გააცოფა კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის სიჯიუტემ, დაუმორჩილებლობამ, გაუტეხლობამ, ცნობილია, რომ შაჰის მოთხოვნისამებრ თეიმურაზ პირველმა ზედიზედ გაგზავნა ორი შვილი, დედა ქეთევანი (შემდეგში ქეთევან წამებული). შაჰის დაჟინებულ მოთხოვნაზე, თავად მეახლეო, თეიმურაზი არ დათანხმდა და მისი ურჩობა, მისი გაუტეხელობა იყო „მიზეზი“ შაჰის გამოლაშქრებისა. ყოველივე ამის აღწერას ისქანდერ მუნშის „ცნობებში“ მთელი გვერდები ეთმობა და დამოწმებული მაქვს კიდეც ერცელი ამონაწერები წიგნში. სხვა წყაროებიდან და ასევე ისქანდერ მუნშის ცნობებიდან ისიც კარგად ა რის ცნობილი, რომ შაჰის გადაწყვეტილი ჰქონდა „ალაჰის ნებით“ კახეთისა და ქართლის ვილაიეთების აყრა-გადასახლება და იქ მუსულმანების ჩასახლება, რათა საიმედოდ ჩაეკეტა თავისი ჩრდილოელი მეზობლის — რუსეთისთვის ამერკაკასიის კარები. ქრისტიანული სომხეთის გადასახლებაც ასევე იყო დაგეგმილი და მისი ნაწილი განხორციელდა კიდეც კახეთის ოპერაციამდე (ასიათასობით სომეხი გადაასახლეს ირანში). დასახული იყო მუსულმანური სამყაროს ინტერესებიდან გამომდინარე ამგვარი ტოტალური გეგმა. ეს გეგმა ამოძრავებდა შაჰის სახელმწიფოს და არა ქართლიდან ან კახეთიდან ან სომხეთიდან ირანის კარზე გაქცეული ქართველი და სომეხი „რენეგატების“ ინტერესები.

ე.ი. არც თეიმურაზის სიჯიუტე ყოფილა მიზეზი, მისი ურჩობა მხოლოდ საბაბად გამოიყენა შაჰმა, თორემ სად გაგონილა, მეფე არ გეახლოს და ამისათვს მთელი სამეფო აყარო და გადაასახლო. აღმოსავლეთ საქართველოს აყრა გადასახლება შაჰის ირანის ტოტალური მიზანი გახლდათ. თეიმურაზის მოქნილ პოლიტიკას იგი შეეძლო გადაევადებინა მხოლოდ, ურჩობამ დააჩქარა! შაჰ-აბასი მორჩილების შემთხვევაშიც დიდი ხნით მანც არ გადაავადებდა საშინელი განსრახის ასრულებას.

საბედნიეროდ, ისქანდერ მუნშის აღწერილი აქვს სწორედ ის ოპერაცია, რასთან დაკავშირებითაც გავრცელდა ხმა საქართველოში საკაძე შემოუძღვა მტრის ჯარსო: „მისმა უდიდებულესობამ, ღვთის ჩრდილმა შაჰმა უბრძანა თავრიზის მმართველს ფარ-ბუდაყ-ხანს ზოგიერთ ამირთან ერთად, ყარაბაღის ამირის დელუმუპამედ შაჰ ადდინლუს მეგზურობით და თანხლებით, რომელიც საქართველოსთან მეზობლად ყოფნის გამო იმ ქვეყნის გზებსა და იწროებს და ავსა და კარგს იცნობდა, შესეოდა კახეთის თბილისის მხრიდან, ხოლო იუსუფ-ხანს, შირვანის ბეგლი-ბეგს, იქაურ ამირებთან ერთადშირვანიდან, რომელიც კახეთის დასავლეთით არის, და თეიმურაზი, როგორც ნადირი, შუაში მოექციათ“ დაწვრილებით აღწერს ოპერაციას ისქანდერ-მუნში, შაჰის „თანმედროვე, არსად იგი არ ასახელებს გიორგი საკაძეს. ჩვენ ხომ შარდენს მოვიშველიებთ, შარდენი ხომ მოგვიანებით ჩამოვიდა საქართველოში (მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში). იგი ხომ სხვათა მიერ მოწედილ ცნობებს ეყრდნობა, თვითმხილველი კი ისქანდერ მუნშია. ვითომ, რატომ გადაეფარებოდა საკაძის ირანელი ისტორიკოსი?

საიდან ვასკვნით საკაძის აქტიურ მონაწილეობას კახეთის აოხრებაში,როდესაც ჰირიქითაა: 1615 წელს შაჰი კახეთს აოხრებს, საკაძე კი საერ არ იმყოფება იქ, ქართლშია. თავის დაგრეული ციხე-კოშკის აღდგენას შედგომია. ხოლო კაცს, ვინც ეს ციხე-კოშკი, სასახლე და მთელი ცხოვრება დაუნგრია — ქაიხოსრო ჯავახიშვილს, — უმალვე მსახური (ბიძინა) დადევნა ქაიხოსრო საკაძის შიშით გაიქა იმერეთისაკენ. საკაძის მსახური სურამთან დაეწია ლტოლვილს, დააშვიდა, ცოლშვილიანად უკან წამოსახა და ფუძეზე დააბრუნა. ოჯახის დამაქცევარი, სასიკვდილოდ გამომეტებული, ცხოვრების დამანგრეველი კაცი-ქაიხოსრო ჯავახიშვილი — ასე შემოირიგა. ყველაფერი აპატია! რა ხდება? ქაიხოსროს და ქართლის დიდებულების ამოსაძირკვავად შაჰი წააქეზა, კახეთსაც კი გაალაშქრა და სწორედ ჯავახიშვილს პატიობს ასე სულგრძელად 1615 წელს? ეს არის შურისგების ჟინი? ხომ არსებობს სასამართლო ოქმის ჩანაწერი, ხომ უტყუარია ეს ყოველივე. მეტი რა არგუმენტი უნდა დაიდოს, რომ მოწყალე თვალით აქეთ მოიხედოს ოპონენტმ ა და ამოდენა რაინდობა და მრავალისმეტყველი პოლიტიკური ნაბიჯი დინახოს? განა დიდი ფიცი-მტკიცი უნდა იმის მიხვედრას, რომ საკაძემ ამობცნო შაჰის გეგმები და სწორედ ამ უნიკალური მიმტევებელი ნაბიჯით დაიწყო გუშინდელი დაუძინებელი მტრების შემორიგება? განა დიდი შერიგების გაგრძელება არ არის აღწერილი ფაქტის გამოტანა 1620 წელს სასამართლოზე და ქაიხოსო ჯავახიშვილთან საბოლოო დაზავება? განა ამ დიდი ფაქტის გაგრძელება არ არის შერიგება ფარსადან ციციშვილთან, ბარძიმ ამილახორთან და ქართლის ყველა დიდგვაროვანთან, ყველასაგან ფიცის წიგნების აღება-გაცემა? დამოწმებული მაქვს წყაროებიც, „ფიცის წიგნებიც“ და ყოველივე ამის გამომკვლევი ისტორიკოსების მოსაზრებანი.

ქრისტიანული რწმენისათვის საკაძეს არ ულალატნია. ქრისტიანული საქართველოს გადასარჩენად მიიღო ისლამის რჯული დროებით, ერთგულ კაცად მოაჩვენა შაჰს თავი და სასიკვდილოდ ლახვარი ჩასცა მარტყოფში. ისქანდერ მუნშმა შესანიშნავად იცის, გონების დაუძაბავად მიხვდა იგი, რომ საკაძე „მოჩვენებითად აღიარებდა ისლამის რჯულს“. აი, ქართველთა გარკვეული ნაწილი კი რატომღაც ვერაფრით ვერ ხვდება, რომ საკაძე „მოჩვენებითად აღიარებდა ისლამის რჯულს“. ამ ნაწილისათვის იგი რჯულის მოღალატეა და არა კაცი, რომელმაც ერთგულად მოაჩვენა თავი და შაჰის გეგმები მარტყოფში ერთიანად შემუსრა. კი, ბატონო, გვჯეროდეს, რომ ქრისტიანულ რწმენას უფალატა, მაგრამ გვჯეროდეს მარტყოფის აჯანყებამდე. მარტყოფის აჯანყება ხომ არსებობს? აქ ხომ თვალნათლივ დაინახეთ, რა ერთგულიც ყოფილა ისლამის რჯულისა.

მაპატიოს მკითხველმა, ისე გამოდის თითქოს ჩემს წიგნს თვალებში ეჩრიდე. საგანგებოდ მაქვს დახასიათებული შესავალშივე წმინდანისა და პოლიტიკოსის გზა.

ქვეყანას ჭირდება წმინდანიც და პოლიტიკოსიც. თვით მეფეებსაც დჭირდათ საქართველოში რჯულის შეცვლა, ერი და ქვეყანა რომ გადარჩინათ (ბაგრატ მეფე, სიმონ მეფე)..

ვინ ირჩევს წმინდანის გზას? ვინც სულიერ სიმტკიცეს სხვას ეერაფერს ვერ დაუპირისპირებს ვეშაპი მტრის ძალას. ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული, ბერი თევდორე, ლუარსაბ მეორე, ქეთევან წამებული...

წმინდანების უდიდეს როლზე ქვენის ზნეობრივი გაჯანსაღებისათვის მე სხვაც ბევრი მაქვს ნათქვამი წიგნში. მაგრამ მარტო წმინდანებმა ვერ იხსნეს ქვეყანა. ჰყავდა წმინდანები ზნეობრივ მაგალითად ქვეყანას, მაგრამ კახეთი აოხრეს, ხალხი გაყლიტეს, გადაასახლეს. დიახ, ხმლის მძლედ მქნეველი, გამჭრიახი გონების მხედარმთავარი ჭირდება ქვეყანას, რათა ვეშაპი განგმირის.

ბაგრატ მეფეს კი მოუსდა რჯულის გამოცვლა იმად, რომ [illegible] ყურადღება მოედუნებინა და მერე დაეკრა. ასეც მოიქცა და გმირია ჭეშმარიტი! სიმონ I-საც მოუხდა რჯულის გამოცვლა, რათა ქართლის მეფე გამხდარიყო და ირანელთა დახმარებით ოსმალეთი დაემარცხებინა. ასეც მოიქცა! და გმირია ნამდვილი! გიორგი საკაძესაც მოუხდა რჯულის გამოცვლა, რათა შაჰის ყურადღება მოედუნებინა და მარტყოფი გადაეხადა! გადაიხადა! გმირია ჭეშმარიტი!

ვითომ ოსმალთა ლაშქარს რატომ ვერ მოუგრეხდა კისერს, თუკი ქართლს აოხრებით დაეპყრობოდნენ. როგორ, მარტყოფის შემდეგაც არ გეჯერა, რომ შეეძლო „ქმნა ამისა?“.

მონღოლების შემოსვლის შემდეგ, დიდი საქართველოს დამსხვრევის შემდეგ ჩვენ უბედურებათა გარსებში მომწყვდეული ერი ვართ. ჩვენს ნებაზე, ძალიანაც გვსურდა, მაგრამ ვერ დავდიოდით. მეცამეტე საუკუნიდან ვიდრე აქამდე მთელი რვა საუკუნის განმავლობაში. ჩვენს მეფეებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს უხდებოდათ გარეშე ძალების მოხმობა. ეს ჩვენი ყოფა იყო. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობა შეზღუდული ქვეყნის ყოფა!

ამოძრავებდა თუ არა გიორგი საკაძეს გაერთიანების იდეა? ამის შესახებ არსებობს გამოკვლევები: იგივე გივი ჯამბურია, აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი... გავიხსენოთ, რას წერს აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი სწორედ ბაზალეთის ომის მარცხიანად დამთავრების გამო: „ნაიშალა ის დიდი საქმე, რომელსაც საკაძემ თავისი უზარმაზარი ენერგია შეალია და ურომლისოდაც საქართველოს განთავისუფლება-გაძლიერება შეუძლებელი იყო“. თუმცა მეოცე საუკუნის ისტორიკოსებს როსტომ ჩხეიძე სტალინური „საკაძეოლოგიის“ მიმდევრებად აცხადებს, მათ შორის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილსაც.

მაგრამ რა ვუყოთ სტალინამდე სამასი წლის წინათ მომხდარ ფაქტს — მარტყოფის აჯანყების შემდეგ ქართლ-კახეთის გაერთიანებას და ტახტზე თეიმურაზ I მიწვევას დიდი მოურავის მიერ? როსტომ ჩხეიძე რატომღაც „პატარა ერთიანობას“ უწოდებს ამ მოვლენას. რა თქმა უნდა, იმიტომ რომ საკაძის მიერ არის იგი ორგანიზებული! სხვა ადგილას საკაძის სახელს არც ახსენებს, ისე ლაპარაკობს „მარტყოფის აჯანყების შედეგად გაერთიანებულ ქართლ-კახეთზე“. ამ ერთიანობის სულისჩამდგმელ პიროვნებას მკითხველის მზერას მოარიდებს. აბა, გავიხსენოთ, რამდენი ხნის განმავლობაში იყო ცალ-ცალკე სამეფოდ ქართლი და კახეთი 1625 წლამდე? ვინ, რომელმა მეფემ შეიძლო მათი გაერთიანება მოხერხდა იგი 1625 წელს, საკაძის წყალობით და მისი ნებითვე!

პატარა მნიშვნელობა აქვს ვითომ ამ ერთიანობას?

თავის საპასუხო წერილში როსტომ ჩხეიძე თამაზ ნატროშვილის ნაშრომს შეახსენ ჩკითხველს. აი, სწორედ ბატონმა თამაზ ნატროშვილმა მომაწოდა ჩემი თხოვნის შემდეგ წლების წინათ ნიკიფორე ირბახის რელაცია პაპისადმი, სადაც სიტყვასიტყვით სწერია:

„იგი (თეიმურაზი) გაიქცა კონსტანტინეპოლში სულთანთან,რომელმაც კარგად მიიღო, და შეპირდა ორი პროვინციის მიცემას, თუკი გამაჰმადიანდებოდა, რაზედაც უარი მიიღო. ამიტომ სულთანმა მოაკლო მას პატივი, ამასობაში მისი მტერი (გ. საკაძე) შაჰის დახმარებით დაეპატრონა პროვინციას (ქართლ-კახეთი) და მას ჩააბარეს 60 000-იანი ლაშქარი, ერთი სარდლის მეთაურობით, რომელიც ყველაფერში დამოკიდებული უნდა ყოფილიყო ამ ქართველის ნება-სურვილზე, რომელთანაც შეთანხმებული იყო ირანის შაჰი, რომ მოეწვია ყველა დიდებული საჯარო მოთათბირებისათვის და ყველა ამოეჟლიტა.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

# კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა

# საყურადღებოდ!

**განათლების სამინისტროს სსსგ « ინფორმატიკა»-ს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე.**

მსურველებს საწყისი ცოდნისა და მოთხოვნილების მიხედვით შეუძლიათ შეარჩიონ ცენტრში მოქმედი კურსებიდან ერთ-ერთი:

**1. ზოგადი კურსი დამწყებთათვის (45 სთ)**

ეს კურსი ითვალისწინებს კომპიუტერზე მუშაობის ძირითადი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ნებისმიერი საწყისი დონის მომხმარებლისათვის.

**2. სპეციალური კურსები:**

ა) ტექსტური. რედატორი (20 სთ)

ბ) ელექტრონული ცხრილები (20 სთ)

გ) მონაცემთა ბაზები (30 სთ)

დ) დაპროგრამირების ენები (ენის შერჩევა ხდება მსმენელის სურვილისამებრ).




მეცადინეობები ჩატარდება **IBM**-ის ტიპის კომპიუტერებზე. გრაფიკი განისაზღვრება მსმენელებთან შეთანხმებით.

სწავლების საფასურის გადახდა შეიძლება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.

**ცნობებისათვის მოგვმართეთ: ჭავჭავაძის I ჩიხი №37**
**კომპლექს „მზიური“-ს ტერიტორია**
**ტელ: 29-48-60**
**23-53-17**


---

საქართველოს სახალხო ფრონტი მადლობას უხდის ცეკავშირის გამგეობას და პირადად მის თავმჯდომარეს ბატონ რესან კონცელიძეს იმ თანადგომისათვის რომელიც მან გაუწია სსფ-ს III ყრილობის ჩატარებაში.

---

## საქართველოს სახალხო ფრონტის საორგანიზაციო განყოფილების განცხადება:

მიმდინარე წლის 7 მაისს, 1 საათზე, გაიმართება საქართველოს სახალხო ფრონტის ახლადარჩეული დარბაზის პირველი სხდომა.

დღის წესრიგშია ორგანიზაციული საკითხები:

1. საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭოს არჩევა.
2. საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილეების დამტკიცება დარბაზის მიერ.
3. გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორის დამტკიცება

განიხილება სხვა ორგანიზაციული საკითხებიც.

---

დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს დისშვილს, პაატა ალექსანდრეს ძე ფუტკარაძეს, რომელიც ორი წლის გახდა.

ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს საყვარელ მშობლებთან ერთად.

მანანა რეხვიაშვილი

---

## გასწორება:

ჩვენი გაზეთის წინა ნომრში გაიპარა შეცდომა. ნომრის რიგითობის მაჩვენებელში №12 ნაცვლად უნდა ყოფილიყო №13.

---

# გამოსათხოვარი

## რამაზ საფარიძე

11 მაისს ოცდახუთი წლისა გახდებოდა. ორი თვის წინ ავადმყოფობამ შეიწირა ენერგიითა და იმედით სავსე ოპტიმისტი ჭაბუკი, რომელსაც მკერდში ტანჯული სამშობლოს სიყვარულის ცეცხლი უგიზგიზებდა.

საქართველოს სახალხო ფრონტის ხელვაჩაურის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის წევრი, ახალშენის საკრებულოს დეპუტატი რამაზ საფარიძე იყო პირველი, თავის სოფელში ქართული სამფეროვანი დროშა რომ ააფრიალა, არაფერი აშინებდა. ყოველთვის იქ იყო, სადაც ყველაზე მეტად ჭირდა. პროფესიით ისტორიკოსს სწამდა და სჯეროდა საქართველოს ბედნიერი მომავლისა.

მამულისათვის ჭეშმარიტად გულანთებული, სიკეთით, რაინდობით გამორჩეული — ასეთად დარჩება იგი ჩვენს ხსოვნაში და ეროვნული მოძრაობის ისტორიაში.

**საქართველოს სახალხო ფრონტის ხელვაჩაურის რეგიონული ორგანიზაცია**

---


**მთავარი რედაქტორი**
**ნოდარ გრიგალაშვილი**

**სარედაქციო საბჭო**
**თენგიზ გოგოტიშვილი**
**ვახტანგ კოპალიძე**
**ფელიქს კოჭიაშვილი**
**სერგო ჯანაშია**

**რედაქციის მისამართი:**
**თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5**



**ტელ.:**
**[illegible]: 93-20-36,**
**[illegible]: 93-18-41.**
**[illegible] მდივანი: 93-19-99**

**[illegible] ფასით საგაზეთო კ[illegible] ბრიგადის 29.**

**შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**გაზეთის ინდექსი 66447**

**ფასი 20 კუპონი**